1912

ნაპერწალი

საბავშვო ჟურნალი

· მსჯელ წლოვანთათვის ·

ივლისი
№ 14

ნაკადული

წელიწადი მე-VIII. № 14 ივლისი, 1912 წ.

225

როგორ მოგწონთ ჩემი ჰაეროპლანი!

შინაარსი:

I—როგორ მოგწონთ ჩემი ჰაეროპლანი,—სურათი . 1

II—ქეთო საგარაკოდ,—(ლექსი) ი. გრიშაშვილისა . . 3

III—ოლიკოს წვეულება,—ვ. თამრიშვილისა. . . 5

IV—მერცხლის ჭიკჭიკი,—ივ. ელიასშვილისა . . . 9

V—ტახი და მელა,—იგავი ეზოპისა, (თავისუფალი თარგმ. გერმანულიდან),—ა. შანშიაშვილისა 18

VI—პატარა ექიმი,—(თარგმანი) გიგლა გარსიასშვილისა. . 19

VII—მათხოვარა და თევზთა მეფე,—(ამერიკული ზღაპარი). 29

VIII—გასართობი: შარადა, ციფრების ამოცანა, რებუსი და აღსნა 24

ტფილისი, ელექტ.-მბეჭდ. ა. კერესელიძისა, გრიბოედოვის ქ. № 34.

ქეთო საბარაკოდ.

ბილოჯან, შორი გზიდან
წერილსა გწერს შენი ქეთო,
შენ გიგონებ სულ ყოველთვის,
რაც წამოველ მას აქეთო!

—

აქ მე ისე კარგად ვგრძნობ თავს,
ისე სუფთა ჰაერია,
რომ ოცნებით მთლად გავგიჟდი,
თითქმის ჭკუაც ამერია.

—

მაგრამ ჩვენი სანდრიკო-კი
არ იქცევა რიგიანად:
რაც რამ გვქონდა ჯამ-ჭურჭელი,
სულ მიდეწა ერთიანად.

—

კატომაც-კი გუშინ ტუეში
შაშვის ბარტყი დაიჭირა,
დააგლიჯა ქორფა ფრთები
და საბრალოდ აატირა.

მე-კი, მამავ, დედას მზემ, რომ
სულ არ ვცელქობ, არ ვეშმაკობ,
დილაობით ბალს ვეწვევი
და ფოთლებთან ვლაპარაკობ.

—

ჯო და, სანდრო ბუნების ხმას
ხომ არას დროს არ შეიგნებს?!.
ის გიჟობს, და მე-კი აქ ხალხს
სულ ვუკითხავ კარგ, კარგ წიგნებს.

—

გოგო-ბიჭებს გვერდით ვისხამ
და ვასწავლი ანა-ბანას,
შემდეგ ვუხსნი „ნაკადულის“
რებუსსა და გამოცანას.

—

მართლა, მამი, თუ რომ გინდა
არ მოაკლდეს ქეთოს ლხენა,
რომ მოხვიდე—წამოიღე
ექვსი წიგნი „დედა-ენა“!..

ი. გრიშაშვილი.



ოლიკოს ფვეულება.

წკრ, წკრ, წკრ!—

—ჩქარა, ჩქარა გააღე კარი, გაბრო, სტუმრები მოდიან!—დაფაცურდა ჰატარა ოლიკო, რომელსაც ჭირივით ეჯავრებოდა, წამალივით სძულდა, როცა ვინმე ჰატარად ჩასთვლიდა.

—კლ, კლ, კლ!—გადატრიალდა კარებში გასაღები და რამდენიმე წუთში ოთახში ექელანი ახმაურდნენ.

—სხვა, როგორა ბძანდებით, გენაცვალეთ, როგორ გიკითხოთ!—ზრდილობიანად მიესალმა ოლიკო თავის ტოლ ელოს, რომელსაც ხელში მაგრად დაებღუჯა თავისი ვაჟიშვილი ტიკინი—შაქრო.

საქმე იმაშია, რომ ერთხელ (რაღა ერთხელ—გუშინ) ოლიკომ მტკიცედ გადასწყვიტა დღეისთვის წვეულება გაემარ-

თა და მეზობლები,—ელო, დარიკო და თინა,—მოეწვია თავის ტიკინებით.

ენა-ჭარტალა ხალხმა ხმა დაჭყარა, ვითომ ელიკოს განზრახვა ჭქონოდეს ეველა დაერწმუნებინა თავის ტიკინის უკეთესობაში.

ეს ოთხი გოგო მთელ უბანს აზარზარებდა. დღე ისე თენდებოდა და ღამე ღამდებოდა, რომ ტიკინების მეტი სადარდელი და საზრუნავი არა ჭქონდათ-რა.

ვერც ერთი მათგანი ჰატარაობას ვერ დაიკვეხებდა: ათ ელიწადს არც ერთი არ ჩამოსცილდებოდა და მაინც სულელები იყვნენ. თუ დაიჯერებთ, თავიც კი მოჭქონდათ: ღმერთმა უტიკინებოდ ნუ გვაცოცხლოსო.

ტიკინები თავიანთ შვილებად წარმოედგინათ და თავი კი დედად.

ჩაიცვამდნენ თავიანთ დედების კაბებს, ბიჭურად გადაიცმევდნენ თავიანთ უმცროს დებს და ერთ ალიაქოთს ააყენებდნენ ხოლმე.

ოლიკოს ეშმაკობა იქამდის მივიდა, რომ თავისი ტიკინი ვითომ და რვა წლისა გაჭხადა და სკოლაშიაც მიაბარა.

რა თქმა უნდა—სხვებმა მის მაგალითს მიჭბაძეს და აი, უკვე ერთი წელიწადია, ოთხი ტიკინი სკოლაში დადის და წერა-კითხვას ისე სწავლობენ, როგორც „ნუცას სკოლის“ მოწაფეები.

სტუმრები როგორც იყო დალაგდნენ; დიასახლისმაც ცოტა მოისაქმა და ბაასი დაიწყო.

—სხვა, ელო, შენი შაქრო როგორა სწავლობს?!—შეეკითხა ოლიკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან კარგად, ძალიან მშვენივრად. მასწავლებელი ასე ამბობს, სხვებში ჰირველია,—ცოტა არ იოს ჩაიტრაბახა ელოთ.

—აბა, ქა, მაგას რად ამბობ, როცა ჩემი გიგო ყველაზე კარგადა სწავლობს და სულ „ხუთებს“ იღებს,—ჩაერია ბაასში თინა.

—შენცა სტყუი, თინა: შენ გიგოზე ზარმაცი ღმერთს ქვაც არ გაუჩენია; ათი როთ უთხრა,—ერთს ვერ შეასმენ,—თითქოს გაბრაზდაო, სხაპა-სხუპით იძახდა დარიკო.

—ვერ დავიჯერებ, როთ თქვენები ჩემ ვახუშტისა სჯობდნენ,—დაიძახა წამოწითლებულმა ოლიკოთ.



იქნება გონახავთ, გაზაფხულის მიწურულებში სანდისხან ცასულ მოკრიალებულია, თეთრი ღრუბელი ბამბის ქულასავით ასწოლია ცას, მაგრამ ცის კიდურიდან შავი ღრუბელის ჰატარა ნაგლეჯი მაურიონს იკრებს და მალე ცასაც დაჭფარავს ხოლმე.

ასე იოო ახლაც. ვინ იფიქრებდა, თუ ეს მშვიდობიანი ბაასი ჭექა-ქუხილად გადაიქცეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად დავიხსომებდი, ან რა საჭიროა, თუ კიდევ როგორ შეამკეს სტუმარ-მასპინძელმა ერთმანეთი.

ეს კი ვიცი: ყველაზე ძლიერ ოლიკო და ელო კაპასობდნენ.

ბევრი აღარ უფიქრიათ, ერთმანეთის ტიკინებს თითო წკიპურტი უთავაზეს.

— შენ რა ღირსი ხარ, ამას რომ ხელს ახლებ?—წიწმატობდა ელო.

— შენ რაღადა ხარ?—თავს იმართლებდა ოლიკო.

ბოლოს სწვდნენ ერთმანეთს და კაი ამბავი დატრიალდებოდა, თინა და დარიკო რომ არ ჩარეულიყვნენ.

სულ ათ წუთს არ გაევლო, რომ ოლიკოსგან გამოგდებული ელო თავის ორი ამხანაგით სახლისკენ მიბუზღუნებდა.

ვ. თამროშვილი.

მერცხლის ჭიკჭიკი.

ძალა აღმართსა ხნავსო, — ტეუილად-კი არ უთქვამს დალოცვილ ადამიანს. ძალაც ძალასა ჭქვიან, მაგრამ ასეთი თავხედობა ნახულა სადმე?

ის იყო გავათავეთ მე და ჩემმა მეუღლემ ბუდის შენება, მხოლოდ შინაურობის მოწყობა-ღა გვაკლდა, და გავექანეთ რბილი საგების მოსატანად თუ არა, ამდგარა, ჩემო ბატონი-შვილებო, მამალი ბედურა, გაუფაფრავს ფრთა-ბუმბული და ჩამჯდარა ჩვენ ნაამაგარ ბუდეში დიდი ვინმე სოვდაგარივით. აქარ და კისერი მოგიტეხიათ—ვიღაც მოთრეული მერცხლები ხართო. ზედაც არ შემოგვხედა მე და ჩემ ცოლს, როცა ბუდეში დასაგებ მასალით დავბრუნდით. ოითქოს ის ეოფილიყოს ჩვენი ბუდის ბატონ-ჰატრონი,—ჩირადაც არ ჩაგვაგდო.

აეტეხეთ წივილ-ჭყივილი; მოგვეშველნენ მეზობელი მერ-

ცხლები; დავფრინავთ ბუდის ირგვლივ, ვჯავრობთ, გული გვისკდება, მაგრამ, აგცილდათ კაცის ზარბაზანი, ის კრინტსაც არა სძრავს: გაფაფხულა, როგორც ვინმე დიდი მებატონე. ვიტრიალეთ, ვიწრიალეთ, ვიდრე დავიქანცებოდით. ისკი თავისას არ იშლის, ზის ნაძალადევ ბუდეში და არხეინად გაიუურება სივრცეში.

ბ ე ღ უ რ ე ბ ი.

ნინო და არჩილი, ჩვენი სახლის პატრონის შვილები, სხედან სახლის წინ მოლზე და გულის ფანცქალით თვალუურს გვადევნებენ. ესენი ხომ ჩვენი გულითადი მეგობრები არიან და ამიტომაც ორივე და-ძმა სცდილობს ბელურას შეშინებას. მხოლოდ ის თავხედი ჩიტი არაფრად აგდებს ბავშვებს, რადგან დაცდილი აქვს მათი გულ-კეთილობა. განა შარშან და შარშან-წინ ნინო და არჩილი არ იყვნენ, რომ ბელურებს ბარტყების გამოჩეკის დროს ფეტვსა და ღომს უურიდნენ, დიდ ლამბაქზე წყალს ხშირ-ხშირად უცვლიდნენ ხოლმე? მაგრამ ისიც მართალია, რომ ორსავე და-ძმას ჩვენ უფრო უეკარვართ.

— არჩილ, იცი რა მიამბო გადიამ?—გაუბა ნინომ საუბარი თავის უმცროს ძმას, -თუ მოთმინებას იქონიებთ და თვალუურს ადევნებთ მერცხლისა და ბელურას ომს, ერთ შესანიშნავ ხერხს შეამჩნევთ მერცხლების მხრივაო. იცი რასა? თურმე მოსდგებიან მერცხლები და ამოგლეჯენ მთელ ბუდეს თავისი

ნერწყვით შეზავებული თიხით, რომელიც ქვასავით მაგარია და რომლითაც გაკეთებული აქვთ ბუდე.

ისე მოხერხებულად შეკრავენ ბუდეს ეოფელის მხრით, რომ სასულესაც-კი არ დაუტოვებენ გაკერვებულ ბელურებს, რომელნიც თურმე უჭაერობ იღრჩობიან.

— განა ბელურა მერცხალზე ნაკლები ჭკუისაა, რომ ამ რიგად იღუპავს თავს? — შეეკითხა დას არჩილი.

— სულელი რად უნდა იყოს, მაგრამ უთუოდ სიკერვით მოსდის ასეთი უხიაგობა, — მიუგო დამ.

— არა, შვილო, ეს გადიას ნაამბობი ზღაპარია, — ჩაერია საუბარში ბავშვების მამა, რომელიც დერეფანში იჯდა და წიგნსა კითხულობდა: — თუმცა ამგვარი რწმენა ყველა ქვეყნებშია გავრცელებული, მაგრამ დღემდე არც ერთ ადამიანს თავის თვალით არ უნახავს მერცხლის ამგვარი საქციელი. აი, დაიცადეთ და თვითონ დაინახავთ, რას იზამენ მერცხლები.

— სხვა ბუდეს აიშენებენ, — საჩქაროდ წარმოსთქვა ნინომ იმ დროს, როცა არჩილი დიდის ყურადღებით უკვირდებოდა ჩიტების საქციელს.

— დიაღ, ახალს აიშენებენ და ისეთ პატარა შესასვლელს გაუკეთებენ, რომ ბელურა ვერ შეეიდეს, — მიუგო მამამ.

— თვითონ-კი ადვილად შევა, რადგან მერცხალი უფრო წვრილი ტანისაა, ვიდრე ბელურა და მასთან უფრო მოქნილიც არის. არა, მამა? — შეეკითხა არჩილი.

— სწორედ აგრეა, შვილო.

— დღეის იქით მე ალარა ვარ ბელურას მეგობარი, — განაცხადა ნინომ: — ფუ, რა საძაგელი ეოფილა ეს კუდრაჭა!

— მე-კი არ გამტეხია გული ბელურაზე, — თამამად სთქვა არჩილმა: — ჩემის ფიქრით, ბელურა მამაცი ვაჟკაცი ეოფილა. ერთად ერთი გაუმკლავდა ამოტელა გუნდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმიტომ გაუმკლავდა, რომ ეშმაკია: იცის მერცხლების გულ-კეთილობა, რომ სასიკეთილოდ არ გაიმეტებენ, არას დააკლებენ, თორემ...—არ ცხრებოდა ადულვებული ნინო.

— გულ-კეთილობით-კი არა, სისუსტით მოსდის მერცხალს ეს სიძაბუნე: იცის, რომ ძალით ვერ მოერევა ბეღურას და ამიტომაც ხელს არ ახლებს,—უპასუხა არჩილმა.

ნინოს მეტი ლაპარაკი აღარ შეეძლო, გული აუჩუყდა და ტირილი დაიწყო.

არჩილი დარცხვენილი იდგა, დისა და ჩემი სიბრალულით, იმასაც ცრემლები ერეოდა, მხოლოდ სცდილობდა, რაც შეეძლო, არ დაეჩინა გულჩვილობა. ჩვენ-კი, რადგან ვერა გავაწყეთ-რა მოძალადე ბეღურასთან, ავიღეთ და მუშაობას შეუდექით. გამალებით ვმუშაობდით იქვე ჩვენ ძველ ნაფუძარში, რადგან ჩემ ცოლს კვერცხის დადების დრო ის იყო უახლოვდებოდა.

ამ სანად, ერთი კვირის განმავლობაში ახალი ბუდე ავაშენეთ, მოვრთეთ ბეწვით, ფრთა-ღინღლითა, და სხვა რბილეულობით.

კარგად მახსოვს,— 2 მაისი იყო, ოთხშაბათი, როცა ჩემი ცოლი უკვე ექვს ბატარა თეთრ, ნაცრის ფრისა და მოწითალო წინწკლებით აფერადებულ კვერცხებს აჯდა და კრუსობას ეწეოდა.

კარგი დარი იდგა. ჩვენი საშშობლო მსარე ძვირფასი საამოსელით შეამოსილიყო და მსიარული სახით შესცქეროდა გულღია, კრიალა, ღია ფირუზის ფერ ცას, რომელიც დიად

მნათობს, სხივ-მფინარე მზეს, თავმოძწონე დედასავით გულში იხუტებდა. ტოროლა მაღლა ჰაერში ფრთხიალებდა და მხიარულ ჭანგზე გალობდა. შორი-ახლო, ჩახრიალას ნაპირზე დიადი მგოსანი ჩჩვილ მუხის ტოტზე შემჯდარიყო და თავის ოცნებებს საუცხოვო ხელოვნურ ჭანგებში აქსოვდა,—ჭახჭახებდა ბულბული და ქვეყნის ჭირ-ვარამს თვის საზენაო გალობაში აქარწყლებდა.

მე ლუკმა ჰურის მებნაში ვატარებდი დროს, ჩემი მარდი ფრთებით დავცურავდი ჰაერში და ვანადგურებდი ძვირფას სამშობლოს მტრად გაჩენილ კოდოს, ბუზებს და სხვა მფრინავ



წვრილფეხა მწერებს. ხანდახან ჩახრიალას მოთაძაძე ტალღებში ხან ერთისა და ხან მეორე ფრთით ცივ წყალს შევისხურებდი ტანზე და გულ-მკერდს ვიგრილებდი. საბრალო ჩემი

ცოლი-კი ჩვეულებრივ დედის ძნელ უღელ ქვეშ იმეოფებოდა, მშიერ-მწყურვალი კვერცხებს აჯდა, ათბობდა თავის ფრთა-ღინღლით და ამავე დროს მტრისაგანაც იცავდა. უმთავრესი ჩვენი მტერნი არიან—დედოფალა, კვერხა, ვირთაგვა, თაგვი და კატა; კრულ იყოს მათი ხსენება.

დედალი მერცხლისათვის ცოტა აფრენაც-კი ძნელია საჭ-მლის საშოვნად.

წელს ჩვენი ბარტყები სულ თორმეტ დღეში გამოიჩეკნენ, რადგან კარგი დრო იდგა. შარშან ცივი გაზაფხული იყო, ხში-რად წვიმდა და, რადგან ცუდი ამინდის დროს მწერი მიმა-ლულია და ძნელი საშოვნელი, დედალ მერცხალს რამოდენი-მე საათობით უხდება კვერცხების დატოვება და ამიტომაც ბა-რტყები სუთი დღით გვიან იჩეკებიან. კარგ ამინდში ჩვენი საზრდო, წვრილი მწერი, აუარებელია ჰაერში და მათი და-ჭერა და ჩაყლაპვა ადვილია.

ჩვენ, მერცხლებმა, ძალიან კარგად ვიცით, როდის უნდა ველოდეთ ავდარს. როცა კარგი ამინდის პირია, ჰაერი მსუ-ბუქია, წვრილ-ფეხა მწერი ჰაერის მაღალ ფარდებს ეტანე-ბა. თუ ცუდი ამინდის პირია, ჰაერი მძიმდება და მწერებიც ჰაერის ქვემო ფარდებში, დედამიწის პირზე დანავარდობენ. ამიტომაც, როცა, ჩვენ მაღლა არ დაფეძებთ მწერებს და დაბ-ლა ვფრინავთ, სალხი ამბობს, ცუდი დარი დადგებაო.

ახლად გამოჩეკილი ბარტყი მართალია, დიდი სილამაზით არ არის დაჯილდოებული, მაგრამ, თუ „ეკავსაც-კი მოსწონს თავის ბახალა,“ ჩვენი ხომ მათზე მეტი მახინჯი არ არის?!.

გამოჩეკის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში ჩვენი ბარ-ტყები დაჩიტდებიან კიდეც და თვითონ პოულობენ საზრდოს.

მანამდე ჩვენ რიგ-რიგად მოგვაქვს ბუდეში საჭმელი და ამ წვა-დაგვით ვზრდით შვილებს, რომელნიც გადაფრენის შე-

მდეგ რამოდენიმე დღის განმავლობაში თავისთვის ესახლებიან გაშლილ ცის ქვეშ, ვიდრე თავიანთ ოჯახობას არ მოეკიდებიან. ამის შემდეგ-კი გვტოვებენ და დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ, რომელიც არც ჩვენთვის არის ისე ადვილი, როგორც თქვენა გაქვთ წარმოდგენილი, ჩემო მეგობრებო.

უნდა იცოდეთ, რომ საზრდოს ჩვენ მხოლოდ ჰაერში ვიჭერთ და ჰაერში მწერი დაფრინავს მხოლოდ კარგ ამინდში. თუ ავდარია, მწერი იმალება ფოთლებსა და ბალახებში და ჩვენი კუჭიც ცარიელია. მხოლოდ, რომ შიმშილით არ დავიხოცნეთ, ერთნაირ ხერხს მიეგმართავთ ხოლმე: ჩაუფრენ-ჩამოუფრენთ მიმალულ მწერს, დავაფრთხობთ, ავაფრენთ და მაშინ-კი უნდა გამოეთხოვოს ამ წუთი-სოფელს.

ხშირად წვრილ ჭოტოსაც არ ვარიდებთ ჰირს, მხოლოდ მისი მაგარი ფრთების მონელება ჩვენ კუჭს არ ძალუძს და ეს მოუნელებელი მასალა უნდა ამოვაგდოთ სტომაქიდან.

დაილოცოს ჩვენი ხალხის მარჯვენა, რომელიც არა თუ არას გვავნებს, არამედ ხელს გვიწყობს კიდეც ცხოვრებაში.

სამაგიეროდ ჩვენც ჩვენი სუსტი ძალ-ღონით გულ-მოდგინედ ვემსახურებით, უსპობთ მავნე მწერებს და შრომისაგან დაღლილ-დაქანცულ ხალხს უტკბობთ სმენას ჩვენი საამური ჭიკჭიკით. მორწმუნე ხალხი ჩვენ ჭიკჭიკს გალობას უწოდებს, ფიქრობს, რომ მერცხალი გალობს და ავედრებს უზენაეს განგებას ხალხის ჯანმრთელობას და კეთილ-დღეობასო.

დეე აგრე იყოს, დეე დღეგრძელ იყოს ჩვენი კეთილი მასპინძელი, რომელიც სიამოვნებით გვიზიარებს თავის კერასა და ძვირფას საშობლოს!

,,როგორც უფალი, საშობლოც ერთია ქვეყანაზედა''!..

. . . . . .

ვინ იცის რა დარდით ივსება ჩემი პატარა გული, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ძალა-უნებურად ვტოვებ ჩემ საყვარელ საშობლოს შემოდგომის ჰირზე და გულ-დაწყვეტილი მიგექანები უცხო ქვეყნისაკენ თავის გამოსატანად? ჰკითხეთ, ბატონებო, თბილი ქვეყნების მკვიდრთ და ისინი გეტყვიან, თუ როგორი დანაღვლიანებულნი ვართ უცხოეთში და როგორ მოუთმენლად მოველით გაზაფხულს საშობლოში დასაბრუნებლად. აბა თუ ვისმე ჩვენგანს ერთი სიძღერა ან სხვა რამ სიამოვნება, ზაფხულის გარდა, მოაგონდება უცხოეთში! აქ კი შეუწყვეტლივ ვჭიკჭიკობთ და ვმსიარულობთ, საშობლოს სიყვარულით შეზარხოშებულნი; კურთხეულიმც იყოს მისი ხსენება!

რა ვქნათ, ჩვენი სუსტი აგებულობა ვერ იტანს სიცივეს და, ესეც რომ არ იყოს, ზამთარში საზრდოსაც ვერ ვიშოვიდით ჩვენ ტკბილ საშობლოში. ამიტომაც, ენკენისთვის მიწურულში უნდა ავიკრიფნეთ და გავსწიოთ თბილი ქვეყნისაკენ. დღე და ღამე რომ იყრება, სწორედ იმ დროს ვიკრიბებით ხოლმე სადმე მეუდრო ადგილზე და გზის მცოდნე მერცხლების მეთაურობით გავექანებით უცხოეთისაკენ. ხშირად ჩვენთან ერთად იკრიბებიან გადასაფრენად შროშანი, წეალ-წეალა და სხვა ჩიტები.

კიდევ კარგი, თუ ენკენისთვეში სიცივემ არ მოგვისწრო. განა სიცივე ჩვენ-კი ვერას დაგვაკლებს, მაგრამ აგვისტოში გამოჩეკილი ბარტყები უთუოდ დაიდუპებიან, რადგან გადაფრენისათვის საჭირო ძალ-ღონე არ შესწევთ.

მხოლოდ ასეთი უბედურება იშვიათია და ჩვენი კეთილდღეობაც უზრუნველეოფილია. მართალი გითხრათ, უცხოეთშიაც ხალხი სიყვარულით გვეპყრობა და პატივსა გვცემს. იქაც მშრომელი ხალხი კეთილია და პატივსაცემი, მხოლოდ უსაქმო და არამზადა არც აქ არის სასურველი და არც იქ. მართალია, უცხოეთი გულ-ნაკლულად არის ჩვენზე, რომ იმას

ისე არ ვამხიარულებთ ჭიკჭიკ-გალობით. როგორც ჩვენ სამშობლოს, მაგრამ, რადგან ყველას სასიხარულოდ მიაჩნია თავის სამშობლოში ცხოვრება, არც ჩვენ გვეთაკილება ჩვენი საქციელი და არც ისინი გვეტრობენ ამისთვის. მით უმეტეს, რომ იქაც ისე გულმოდგინედა ვსჭობთ ქვეყნისათვის მაგნე შეერს, როგორც სამშობლოში.

ივანე ელიაშვილი.



ტახი და მელა.

(იგავი ეზოპისა).

მელამ ერთხელ დაინახა,—
ილესავდა ტახი ეშვებს;
შეეკითხა:—რად ირჯები,
რისთვის ჰქერქავ მუხის ფესვებს?
მტერი არ სჩანს, რომ ეომო,
წინადვე ხარ მზადებაში?
არხეინად რკოს შეექეცი,
იპოვება ბლომად მთაში!

ტახმა მშვიდად უპასუხა:
—რაებს სჩმახავ, შე სულელო!?
ახლა მიტომ ვემზადები,
შემდეგ მტერი ჩავიხელო;
მას დაუხვდე ვაჟკაცურად,
მზის სინათლეც დავუბნელო;
ბრძოლის დროს თუ ეშვი ვლესე,
გავიტანო ვერც თუ ლელო!

ა. შანშიაშვილი.





მათხოვარა და თევზების მეფე.

(ამერიკული ზღაპარი).



შვიდ ოკეანეს ერთ კუნძულზე, ტალღებისაგან კლდეში გამოთხრილ გვირაბში მოხუცებული მათხოვარა სცხოვრობდა.

მათხოვარას, კეთილ მეზობლების გარდა, არ გააჩნდა არც სახლი, არც სახნავ-სათესი მიწა, არც საქონელი. კეთილი მეზობლების სიუხვის წყალობით ჩვენი მოხუცი არამც თუ გაჭირვებას არ განიცდიდა, არამედ თავის სუფრის ნარჩენით ჭკვებავდა თევზებსაც, რომლებიც ბლომად იევნენ ამ კლდიან ნაპირთან წყალში და ეოველთვის ელოდნენ, როდის გადმოგვიერის გლახა ეოველდღიურ მოწყალებასო.

ერთხელ თევზთა მეფე თავის სამფლობელოს ათვალიერებდა: მოცურდა ამ კუნძულთან თავისი კუდიანი მხლებლებით;

გააკვი ̆ ̆ ვა იგი ქვეშევრდომთა ჯან-საღმა და კმაყოფილმა შეხახედაობამ და უბრძანა თავის პირველ მინისტრს დაწვრილებით შეეტყო ამის მიზეზი.

თევზებმა ერთ-ხმად განუცხადეს მინისტრს, ამ უდაბნო ნაპირებში ძალიან გაჭირებული ცხოვრება გვექნებოდა, ხელ-გაშლილ გლახას ყოველ-დღე რომ არ მოჰქონდეს ჩვენთვის უხვი გემრიელი საჭმელიო.

— შეგიძლიანთ თვითონ თქვენ დარწმუნდეთ ამაში, — უთხრეს თევზებმა:—ჩვენი მარჩენალი ჩქარა მოვა სადილის საჭმელად.

მართლაც, რამდენიმე წუთის შემდეგ, წყალში ჩამოცვივდა ყოველ-ნაირი გემრიელი ნაჭრები და ნაქუცმაცევი, რომელსაც სიხარულით ეცა თევზების გროვა.

პირველ მინისტრს დაავიწყდა თავისი ხარისხი და სხვებთან ერთად შეექცა ნამცეცებს.

როდესაც სულ შეჭამეს, ის დაბრუნდა ხელმწიფესთან და დაწვრილებით მოახსენა ყველაფერი.

მოისმინა რა თევზების მეფემ მოხსენება, მოისურვა თვითონ ენახა ეს საკვირველი სანახავი.

მეორე დღეს მოცურდა კუნძულთან სწორედ იმ დროს, როდესაც მათხოვარა ჭბერტეავდა წყალში სუფრას. დიდი და პატარა თევზები მხიარულად იჭერდნენ ნამცეცებს და ჭელაპავდნენ. თევზების მეფემ კეთილ-ინება მიერთმია რამდენიმე გემრიელი ლუკმა, რომელიც შესთავაზეს კარის კაცებმა.

იმას უეჭველად ეგემრიელა, რადგანაც თავის პირველ მინისტრს გამოუცხადა, მოეყვანა მასთან გლახა, რათა დაესაჩუქრებინა იგი. მეორე დილით, როდესაც ჩვეულებისამებრ გლახა ბანაობდა ზღვაში, მოულოდნელად თავის გარეშემო დაინახა მრავალი დიდი თევზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრიელ შეეშინდა და მოიწადინა დაძალვა თავის გამოქვაბულში, მაგრამ ერთმა ყველაზე მოზდილმა თევზმა ამოჭეო წელიდან თავი და დაუწეო მათხოვარს ლაპარაკი:

— ოჰ, თევზების ჩამომავლობის კეთილო მწყალობელო! ჩვენმა უძლიერესმა მბრძანებელმა, გაიგო რა შენი მზრუნველობა თავის ქვეშევრდომებისათვის, ისურვა შენი დასაჩუქრება და გიბრძანა დაუყოვნებლივ გამოცხადდე მის წინაშე.

ხერხებითა და კბილებით შეიარაღებული ურიცხვი ჯარის დანახვაზე გლახამ გადასწვიტა, რომ დამორჩილება სჯობდა: უპასუხა, რომ თანახმაა აღასრულოს მეფის ბძანება და ცახცახით გაჰყვა თევზებს.

გზაში პირველი მინისტრი მიუბრუნდა შეშინებულ მოხუცს:

— ხელმწიფე მოისურვებს აგავსოს საჩუქრებით—მე-კი გირჩევ არაფერი არ მიიღო, რადგან ადრე თუ გვიან ეს საჩუქრები კაცს გააუბედურებს.

მათხოვარას იმედი მიეცა, რომ იმის უმწეო მდგომარეობას რამე ეშველებოდა.

— როდესაც ხელმწიფე შემოგაძლევს თავის საუნჯეს,— დაბეჯითებით განაგრძო მინისტრმა,—არ მიიღო, და სთხოვე მხოლოდ ერთი მოწყალება, რომ ნება მოგცეს აკოცო ენის წვერზე.

გლახამ გაკვირვებით შეხედა მინისტრს.

(დასასრული იქნება).



პატარა ეძიმი.

(თარგმანი).



ოდი სიჩქარით მოირბინა ვასომ დედასთან.

— რა ვქნა, დედილო, — შესჩიოდა იგი დედას: — კატო ავად არის; იმის დედა სამუშაოდ წავიდა და დღეს არცკი დაბრუნდება სახლში. კატოს-კი ისე სცივა, რომ ვერა გზით ვერ გათბა; თბილი საბანიც-კი დავხურე, მაგრამ მაინც კანკალებს.

კატო და ვასო ერთი ხნისანი იყვნენ და დიდი მეგობრობაცა ჰქონდათ ერთმანეთში.

— წავიდეთ ბაღში, — უთხრა დედამ ვასოს, მე — ვფიქრობ, რომ შენიშნული გექნება იქ ორი დიდი სუნნელოვანი ხე ყვითელი ყვავილებით.

— ჰო, დედა, ის ხომ ცაცხვებია, — უთხრა ვასომ.

— აი, იმ ცაცხვებზე მოვკრიფოთ მე და შენ ყვავილები; ჩაჰყარე ჩაიდანში, ადუღე, როგორც ჩაის ადუღებენ, და დალევინე კატოს.

ვასო ბეჯითად შეუდგა მუშაობას: მოამზადა ულველივე ისე, როგორც დედამ დაარიგა, და წაუღო მომზადებული ცაცხვის ყვავილის ჩაი თავის მეგობარს. კატომ დალია ჩაი, გათბა და მეორე დღეს უკეთ შეიქმნა.

გიგლა გარსიაშვილი.

შარადა.

ბავშვის სახელს საალერსოს,
ორი მარცვლით გამოთქმულსა,
ასო „სანი“ წინ დაუსვი.
შენობასა დადგამ სრულსა.
ვინც იქ არის წარმატებით,
ის ახარებს მშობლის გულსა.

პ. ლ—ძე.

ციფრების ამოცანა.

(წარმოდგენილი ნ. დარაშვილის-მიერ).



ჩვენ გვაქვს ამნაირი ნახატი, როგორც აქ არის ნაჩვენები; გვაქვს აგრედვე ციფრები 1-დან 17-ამდის; ეს ციფრები მოათავსეთ ისე, რომ შუა უჯრიდან საით მხარესაც გასთვალოთ—51 რიცხვი გამოვიდეს.

რებუსი.

ს

ყ უ

,

ა
ო

” გ ,

მ

, მ
ი

ს კავშირი ს
ვ ,

, ე

” ე


”
ვ

გ

ო

მე-13 №-ში მოთავსებულ გასართობების ალნა:

1. არითმეტიკული ამოცანა: 13 წუთში.
2. რებუსი: დო ჭამიას დო აგონდებოდა, ყველი ჭამიას—ყველიო.

რედაქტორი: **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი: **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

„ნაკადული“-ს რედაქციაში

და

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

1) **ზღაპრები ვილჰელმ და იაკობ გრიმისა.**—ფასი. . 30 კ.

2) **ტომის თავგადასავალი,**—თხზ. მარკ ტვენისა, ფასი. 50 კ.

3 **რას გვიამბობს ოთახი,**—თხზ ავენარიუსისა, ფასი 20 კ.

4) **დასურათებული ასაწყობი ანბანი,**—ფასი . . 1 მ.— კ.

5) **სკრუჯი და მარლეი,**—საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . 25 კ.

6) **დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები** ჰ. ქ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი . . . . . 30 კ.

7) **ბავშვობა და სიყრმე,**—მოთხრობა ლევ ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . 60 კ.

8) **ორი მხატვარი,**—თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . 15 კ.

9) **სამშობლო ბუნების სარკე,** დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები,—ივანე ელიაშვილისა, ფასი. 30 კ.

10) **ამხ. „ცისკრის“ გამოცემა,**—ლევ ტოლსტოის მოთხრობები, ფასი . . . . . 5 კ.

11) **შობა,** მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან, — ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . 5 კ.

12) **ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი — ეგოისტი,** ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაჭავარიანისა, ფასი . . . . . 5 კ.

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

✦ წელიწადი მერვე ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით; მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები ⁄ პედაგოგები.

წლიურად ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

✦ **დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.** ✦

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მ. ნახევარ წლით—**3** მან., ცალკ-ცალკე მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3** მან., მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვან. და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკისიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად.

ხელის მოწერა შეიძლება **ტფილისში**—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინ. ბრ. № 8. Редакція „Накадули,“ Головинскій пр., № 8, და წერა-კითხვის საზოგადოებას წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან და მარიამ ყაუხჩიშვილთან. **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან. **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან. **ბათომში**—კ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტროფიმ ინასარიძესთან. **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან. **ოზურგეთში** ⁄ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—გახო ბაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან. **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯაფარიშვილთან. **სოხუმში**—კ. მარიამ ანჩაბაძესთან. **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან. **განჯაში**—ბ. ამბოკაძესთან. **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან. **სილნაღში**—ნ. ახმეტელაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**